საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030415671968920

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/2918 **29 / იანვარი / 2020 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ლევან კობერიძეს

ბატონო ლევან,

თქვენი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების ფარგლებში, სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების მიერ, 2019 წელს სააგენტოში წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოსათვის მოთხოვნილი თანხა შეადგენს 864 530 123 ლარს.

აღსანიშნავია, რომ მოთხოვნილი და ასანაზღაურებელი/ანაზღაურებული თანხები იდენტური არ არის, ვინაიდან, დადგენილების პირობების თანახმად, პროგრამის მოსარგებლეებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისას. შესაბამისად, შესრულებული მომსახურებისათვის მოთხოვნილი თანხა შესაძლებელია დაკორექტირდეს სრულად, ან ნაწილობრივ.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებულებად აღიარებული და პროგრამულად ანაზღაურებულია 609 234 495,41 ლარი. ამასთან, 2019 წლის განმავლობაში საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის საკასო ხარჯმა შეადგინა 824 892 575 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულების ინსპექტირების ვადა, ამავე დადგენილების დანართი N1-ის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განისაზღვრება 60 სამუშაო დღით. ამავე დადგენილების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად: "ხარვეზით წარმოდგენილი შემთხვევები მიმწოდებელს ელექტრონულად ეგზავნება მთლიან შესრულებასთან ერთად ხარვეზის აღმოსაფხვრელად და საჭიროების შემთხვევაში, ნაბეჭდი სახით დოკუმენტაციის განმეორებით წარსადგენად მიმწოდებელს ეძლევა 5 სამუშაო დღე. დადგენილ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში, შემთხვევები განიხილება, როგორც ანაზღაურებას დაქვემდებრებული, ხოლო მითითებულ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობისას, შემთხვევა არ ანაზღაურდება". ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი 5 სამუშაო დღის შემდეგ, მიმწოდებელი ახლიდან წარმოადგენს შესრულებულ სამუშაოს და ხდება სამედიცინო დოკუმენტაციის განხილვა (განხილვის ვადა 60 კალენდარული დღე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული შესრულებული სამუშაოს განხილვის ვადა ინდივიდუალურია და დღეისათვის ვადაგადაცილება არ ფიქსირდება.

სააგენტოში წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის დამუშავებისა და ანგარიშგების პროცედურები უწყვეტია და მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,